ჰოლივუდის კინოსტუდიები ინტერნეტ მეკობრეობის გამო, საქართველოს სანქციებით ემუქრებიან

წამყვანი ამერიკული კინოსტუდიები - დისნეი, ვორნერი, უნივერსალი, სონი, პარამაუნტი, ნეტფლიქსი და ყველა დიდი კინოსტუდია, რომლებსაც MOTION PICTURE ASSOSSIATION OF AMERICA წარმოადგენს, შეშფოთებას გამოთქვავს საქართველოში არსებულ ინტერნეტ საიტებზე არალეგალური ფილმების ჩვენების გამო. ორგანიზაციის მიერ კომუნიკაციების კომისიის, საქპატენტისა და ინტერეტ მეკობრების წინააღმდეგ შექმნილი ასოციაციაციისთვის გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ ონლაინ ვებ-გვერდები **adjaranet.com და imovies.ge** წლების განმავლობაში, უკანონოდ მოიპოვებენ და ათავსებენ სხვადასხვა სახის კონტენტს, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნისთვის.

ინტერნეტ მეკობრეობა ფილმებისა და ინტელექტუალური რესურსების არალეგალურად მოპოვებას და მის უნებართვოთ ჩვენებას ნიშნავს. ქართულ რეალობაში უკვე წლებია მეკობრეული ვებ-გვერდები არალეგალურად მოპოვებულ ფილმებს სთავაზობენ საკუთარ მომხმარებელს. მომხმარებელს კი თავის მხრივ არ აქვს ინფორმაცია, რომ ვებ-გვერდებზე განთავსებული კინო პრემიერები და სერიალები, არალეგალურად არის მოპოვებული. მეკობრეული საიტები, როგორებიც არის adjaranet.com და imovies.ge სხვადასხვა არალეგალური გზებით იპარავენ ფილმებს. წლებია აღნიშნული ვებ-გვერდები ფილმის ჩვენების უფლებებში არ იხდიან თანხას და აზიანებენ, როგორც ქვეყნის იმიჯს, ისე მთლიანად კინოინდუსტრიას. მნიშვნელოვანია, რომ ვებ-გვერდებზე მოპარული პროდუქციის განთავსების გარდა, აღნიშნული პორტალები თავად ყიდიან რეკლამას და იღებენ საკმაოდ მაღალ შემოსავალს.

ამერიკული კინოსტუდიები, შეშფოთებას გამოთქვამენ საქართველოში ინტერნეტ მეკობრეობის მიმართულებით არსებული მდგომარეობის გამო და პრობლემის მოუგვარებლობის შემთხვევაში, სანქციების დაწესებას აპირებენ, რაც კინო და ტელე მსოფლიო პრემიერების დაგვიანებაში, ან რიგ შემთხვევაში სრულად გაუქმებაში იქნება გამოხატული.

მოპარული, პირატული კონტენტი ხელს უშლის ქვეყანაში ლეგალური მედია და კინობიზნესის განვითარებას. ბოლო რამდენიმე წელია, ფილმებსა და სერიალებში მნიშნველოვან თანხებს იხდიან ტელევიზიები, კინოთეატრები და სხვადასხვა კომპანიები, რომლებიც საკუთარ მაყურებელს ლეგალურ კონტენტს აჩვენებენ. იმ ფონზე, როდესაც ინტერნეტ ვებ-გვერდები მომხმარებელს მოპარულ პროდუქციას სთავაზობს, ზიანდებიან ის კომპანიები, რომლებიც კანონიერად მუშაობენ. ასეთ პირობებში, შეუძლებელია ძლიერი მედიის და რეგიონალური კინოთეატრების ქსელის არსებობა. ასევე, შეუძლებელია ამ არასამართლიან პირობებსა და გარემოს

გაუძლოს ქართულმა ლეგალურმა სტრიმინგ პლატფორმებმა, მაგალითად ისეთმა, როგორიც არის www.silkgo.ge; www.silktv.ge.

მოპარული კონტენტის გავრცელება და მოხმარება, ანუ - ინტერნეტ მეკობრება, ზიანს აყენებს და საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ჰოლივუდის კინოსტუდიების კონტენტს და ამ კონტენტის ჩვენებას ქართველი მაყურებლისთვის, არამედ ქართულ ფილმებს და მათ მწარმოებლებს, როგროც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. რამდენიმე დღის წინ ფილმის „და ჩვენ ვიცეკვეთ“ მოპარული - პირატული ასლი ინტერნეტში გავრცელდა, რაც საფრთხეს უქმნის ფილმის საფესტივალო და კომერციულ წარმატებას. ასევე, ქართულმა პირატულმა ვებ-გვერდებმა ნეტფლიქსის მიერ შესყიდული პირველი ქართული ფილმი - „ჩემი ბედნიერი ოჯახი“ - მეორე დღესვე სრულიად უკანონოდ განათავსეს თავიანთ პლატფორმებზე, რითაც ფილმს მოაკლდა ლეგალური ნახვების დიდი რაოდენობა. ამასთან, აღნიშნული ფაქტის გამო, ისეთი დიდი კომპანია, როგორიც არის ნეტფლიქსი მომავალში ქართული ფილმის შესყიდვით აღარ დაინტერესდება, რაც ქართულ კინოს დააზიანებს.

ჰოლივუდის კინოსტუდიები, ამავე წერილში მადლობას უხდიან კომუნიკაციების კომისიას გაწეული შრომისა და მჭიდრო თანამშრომლობისთვის, ასევე, სამაუწყებლო და საკაბელო პლატფორმებიდან არალეგალური ფილმებისა და სხვა კონტენტის ამოღებაში შეტანილი წვლილისთვის. კინოსტუდიები იმედოვნებენ, რომ კომისიის დახმარებითა და აქტიური ჩართულობით, ინტერნეტ სივრცის გათავისუფლებაც მალე მოხდება არალეგალური, არაკანონიერი ფილმებისა და სერიალებისგან.

ჰოლივუდის კინოსტუდიები ასევე მიესალმებიან ქართული კომპანიების მიერ საქართველოში ცოტა ხნის წინ დაარსებულ ინტერეტ მეკობრების წინააღმდეგ შექმნილ ასოციაციას, რომლის მთავარი მიზანიც, ქვეყნის იმიჯის დაცვა და კინო და ტელეკონტენტის ინდუსტრიის ცივილური ფორმებითა და კანონის ფარგლებში განვითარებაა. ასოციაციის წევრები არიან, წამყვანი მედია საშუალებები, ინტერნეტ პროვაიდერები, კინო და ტელე სადისტრიბუციო კომპანიები, ასევე სხვა მრავალი სახელმწიფო და კერძო ორგანიზაცია.